საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
ბრძანება №_____

ქ. ქუთაისი **_____ 2017 წ.**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის მიზნით წარმომადგელობითი საბჭოს №103 დადგენილებით დამტკიცებული ტაბელის ფორმის წარმოების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის მდივანს, ქბ-ნ რუსუდან კაპანაძეს, რექტორის აპარატის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის და სამსახურების უფროსების სამსახურში გამოცხადების აღრიცხვა ტაბელის შესაბამისად. ყოველდღიური გამოცხადების დადასტურება განხორციელდეს ხელმოწერით სამუშაო დღის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 საათამდე.
2. დაევალოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს (ფაკულტეტების დეკანებს, სამსახურის უფროსებს) ერთეულში შემავალი თანამშრომლების გამოცხადების აღრიცხვა ტაბელის შესაბამისად სამუშაო დღის არაუგვიანეს 10 საათამდე. ყოველდღიური გამოცხადების დადასტურება ,,+“ სიმბოლოთი, ხოლო არგამოცხადება (არასაპატიოდ) ,,-“ სიმბოლოთი.
3. ტაბელის წარმოების პერიოდად განისაზღვროს ყოველი თვის 21 რიცხვიდან მომდევნო თვის 20 რიცხვის ჩათვლით პერიოდი. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ ტაბელის გადაგზავნა განხორციელდეს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამის (eflow) გამოყენებით პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი კალენდარული დღისა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე.
4. კონკრეტული პერიოდის დასასრულს, სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი, შევსებული ტაბელის სისწორეს ადასტურებს შესაბამის ველში ხელმოწერით.
5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ტაბელს გადაუგზავნის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების მიზნით და ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს საბოლოო შედარებისა და ხელფასის გაცემის მიზნით.
6. ტაბელის წარმოებაზე ზოგადი კონტროლი დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარტის უფროსს, ბნ. ვლადიმერ უგულავას.
7. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომის უზრუნველყოფის მიზნით.

8. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
9. ბრძანება ძალაში შევიდეს 2017 წლის 13 თებერვლიდან.

უნივერსიტეტის რექტორი: **გიორგი ღავთაძე**